ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №869756

ნომერი: AR1136245

თარიღი : 20.08.2013

გაცემის თარიღი : 28.08.2013

გაცნობის თარიღი : 28.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 9 ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა გილაშვილი პ/ნ 36001012540
- თბილისი ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N 9ა ბ. 115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: წარმოდგენილი სახით ფასადზე კონდენციონერის განთავსება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს ეზოს მხრიდან, შენობის უკანა ფასადზე, ან შეიფუთოს არსებული ფასადის იერსახის გათვალისწინებით რაიმე სახის დეკორატიული ელემენტებით, ასევე შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს არსებული სარეკლამო ტენტის ქვეშ, საიდანაც მისი ხილვადობა ნაკლებად თვალსაჩინო იქნება. ამავდროულად გაითვალისწინეთ, საჯარო რეესტრის ამჟამინდელი მონაცემებით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს. "E.L. Company 777" რომლის დირექტორია ლევან ფხაკაძე, გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.